



შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამა

**რუსეთის როგორც გლობალური მოთამაშის კვლავ აღმოცენება:
საფრთხის შემცველი შედეგები საქართველოსათვის და
სამხრეთ კავკასიის რეგიონისათვის**

ია ჭურჭელაური
პოლიტიკურ მეცნიერებებში სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი

თბილისი, 2018

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

პროფ. დოქტ. ამირან კავაძე

(სახელი, გვარი) (აკადემიური წოდება)

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

თანახელმძღვანელი:

დოქტ. დერეკ ავერე

(სახელი, გვარი) (აკადემიური წოდება)

ბირმინგემის უნივერსიტეტი

(ხელმძღვანელის ხელმოწერა)

ექსპერტები (სახელი, გვარი & აკადემიური წოდება):

1. პროფ. დოქტ. ნიკა ჩიტაძე

2. პროფ. დოქტ. თამარ კვიციანი

ოპონენტები (ექსპერტები (სახელი, გვარი & აკადემიური წოდება):

1. ასოც. პროფ. დოქტ. ბექა ჭედიას

2. ასოც. პროფ. დოქტ. ვალერი მოდებაძე

შესავალი

თანამედროვე მსოფლიოს დღის წესრიგში უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული პრობლემები საკმაოდ მწვავედ დგას. ეს საკითხი ძლიერი რეგიონალური და გლობალური მოთამაშეების მხრიდან მოითხოვს სათანადო ზომების გატარებას. დღეს მსოფლიოში მიმდინარე მოვლენები ცხადყოფს, რომ კრემლი თავისი არაპროგნოზირებადი ქმედებების გამო აშკარად მზარდი საფრთხეა დასავლეთისთვის. რუსეთის სახელი და როლი განუყოფელია, როდესაც საკითხი ეხება უსაფრთხოების თემას განსაკუთრებით კი პოსტსაბჭოთა სივრცეში. უსაფრთხოება და სტაბილურობა უმთავრესი პრიორიტეტებია სამხრეთ კავკასიისთვისაც, სადაც რუსეთი სერიოზულ ტვირთად აწევს რეგიონს, მისგან წამოსულ საფრთხეს სათანადოდ რომ გაუმკლავდეს. როგორც პუტინმა აღნიშნა, "რუსეთი არასდროს ყოფილა ისეთი ძლიერი, როგორც სურს, რომ იყოს და არასდროს ისეთი სუსტი, როგორც მას მიიჩნევენ" (UPI, 2006).

რუსეთს აქვს ძალიან ძლიერი გავლენა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებზე. რეგიონს, ისევე როგორც მთლიანად პოსტსაბჭოთა სივრცეს, მოსკოვი აღიქვამს როგორც თავის საკუთრებას და მისი საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგში სამხრეთ კავკასიას ყოველთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. რუსეთს რეგიონის ტერიტორიაზე განლაგებული ჰყავს მნიშვნელოვანი რაოდენობის სამხედრო ძალა და ამ სიძლიერის განეიტრალება საკმაოდ რთულია. სამხრეთ კავკასიის რეგიონს რუსეთისთვის "უკანა ეზოს" დატვირთვა აქვს, სადაც ეთნო-ტერიტორიულ კონფლიქტებს იყენებს იმისათვის, რომ მასზე თავის გავლენა განამტკიცოს და გააძლიეროს.

რუსეთის საგარეო პოლიტიკა წარმოადგენს კომპლექსურ ფენომენს თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში. კრემლის საგარეო პოლიტიკის თავისებურება, კერძოდ კი მისი სწრაფვა პოსტსაბჭოთა სივრცეზე(სამხრეთ კავკასიის რეგიონზე) ძალაუფლების შენარჩუნებებისა და გაძლიერების კუთხით, ნაშრომში ახსნილია საერთაშორისო ურთიერთობების თეორიების ნეორეალიზმის და ნეოკლასიკური რეალიზმის, ასევე კონსტრუქტივიზმის მიდგომით.

საკითხის დასმა

უსაფრთხოების პრობლემა უმნიშვნელოვანეს გამოწვევადაა ქცეული თანამედროვე მსოფლიოსთვის, სადაც რუსეთი პრეტენზიას აცხადებს გლობალური მოთამაშის როლზე. მისი ქმედებების ბუნებიდან გამომდინარე, რომელიც მოულოდნელობებითაა სავსე, მსოფლიო პოლიტიკური ლანდშაფტი მუდმივად ტრანსფორმაციის ქვეშაა. კრემლის ნეო-იმპერიალისტური რიტორიკა განსაკუთრებული სიმკვეთრით შეიმჩნევა პოსტსაბჭოთა სივრცეში, კერძოდ სამხრეთ კავკასიის რეგიონში, განსაკუთრებით კი საქართველოში. რუსეთი ცდილობს აღადგინოს ძველი დიდება და ამავე დროს დასავლეთის მანიპულირებისთვის მრავალ ბერკეტს იყენებს. 2007 წლის მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე პრეზიდენტ პუტინის ცნობილი გამოსვლის შემდგომ რუსეთის საგარეო პოლიტიკის აქცენტები კიდევ უფრო გამოააშკარავდა. კრემლმა სიტყვები საქმით შეცვალა, რათა გეზი მიეცა რუსეთისთვის მთავარი რეგიონალური მოთამაშის სტატუსი უკვე გლობალური მოთამაშის სტატუსით ჩაენაცვლებინა.

კვლევის მიზანი

კვლევის მთავარი მიზანია:

- მიმოიხილოს როგორ ხსნის ნეო-რეალიზმის, ნეოკლასიკური რეალიზმის და კონსტრუქტივიზმის მიდგომა სამხრეთ კავკასიის რეგიონში რუსეთის საგარეო პოლიტიკას და რომელია ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს რუსეთის არსებულ საგარეო პოლიტიკურ კურსზე;
- გაანალიზოს რუსეთის როგორც გლობალური მოთამაშის კვლავ აღმოცენების ბუნება და საფრთხის შემცველი შედეგები სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისთვის;
- შეისწავლოს, როგორ შეიძლება რუსეთმა შეაფერხოს ევროპული არჩევანის მქონე პოსტსაბჭოთა ქვეყნების(საქართველოს) დასავლური მისწრაფებები.

კვლევის კითხვები

1. როგორ ხსნის ნეო-რეალიზმი, ნეოკლასიკური რეალიზმი და კონსტრუქტივიზმი სამხრეთ კავკასიის რეგიონში რუსეთის საგარეო პოლიტიკას და რა ფაქტორები ახდენს გავლენას რუსეთის არსებულ საგარეო პოლიტიკურ კურსზე?
2. როგორია რუსეთის, როგორც გლობალური მოთამაშის კვლავ აღმოცენების ბუნება და შესაბამისად სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისთვის საფრთხის შემცველი შედეგები ?
3. როგორ შეიძლება რუსეთმა შეაფერხოს ევროპული არჩევანის მქონე პოსტსაბჭოთა ქვეყნების(საქართველოს) დასავლური მისწრაფებები?

კვლევის ამოცანები

1. ნეორეალიზმის, ნეოკლასიკური რეალიზმის თეორიებისა და კონსტრუქტივიზმის ძირითადი ცნებების ანალიზი და მათი შესაბამისობა რუსეთის საგარეო პოლიტიკურ კურსთან სამხრეთ კავკასიის რეგიონის მიმართ;
2. საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგიის განხილვა;
3. 'მსოფლიოს უსაფრთხოების არქიტექტურის'- რუსეთის ვერსიის ანალიზი;
4. სამხრეთ კავკასიაში რუსეთის ძირითადი ინტერესების მიმოხილვა;
5. ბუფერის ფენომენი და სამხრეთ კავკასია, როგორც ბუფერული ზონა;
6. სამხრეთ კავკასიის ქვეყნების საგარეო პოლიტიკური არჩევანის შედარება;
7. პუტინის ახალი დოქტრინის ძირითადი ასპექტების ინტერპრეტაცია და რუსეთის "ჰიბრიდული ომის" ტაქტიკის განხილვა, რუსეთის "ლიბერალური იმპერიის" დოქტრინასთან ერთად;
8. რუსეთის მიდგომის ანალიზი პოსტსაბჭოთა სივრცეში მრავალმხრივ თანამშრომლობაზე: კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაცია, შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაცია და ევრაზიის ეკონომიკური კავშირი;

9. შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის, სუამის და სამხრეთ გაზის დერეფნის მნიშვნელობის მიმოხილვა.

თემის მეცნიერული სიახლე და აქტუალურობა

მსოფლიო დღეს დინამიურ ცვლილებას განიცდის, რუსეთი მნიშვნელოვანი მოთამაშე გახდა და იგი უკვე საფრთხეს უქმნის მსოფლიოს უსაფრთხოების არსებულ არქიტექტურას. ამ ფენომენმა წამოჭრა უამრავი გამოწვევა, რომელიც სათანადოდ არ არის შესწავლილი და გაანალიზებული. რუსეთი მსოფლიო მოთამაშის ამბიციით ხელახალი გამოჩენით და თავისი აშკარა ანტიდასავლური და ანტიამერიკული სტრატეგიებით სერიოზულ გავლენას ახდენს პოსტსაბჭოთა ქვეყნებზე, რომლებმაც დატოვეს მოსკოვის ორბიტა. ასე, რომ ამ ფენომენის თვისებურების შესწავლა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისთვის საფრთხის შემცველი შედეგების ანალიზი თემის სიახლესა და აქტუალურობაზე მიუთითებს. შესაბამისად, აუცილებელია საკითხის უფრო სიღრმისეული კვლევა.

საკითხის მნიშვნელობა

კრემლი თვლის, რომ რუსეთი არასამართლიანად არის იზოლირებული გლობალური გადაწყვეტილებების მიღების პროცესიდან: დასავლეთმა რუსეთის წინააღმდეგ დააწესა ეკონომიკური და ფინანსური სანქციები, რუსეთს შეუჩერდა "დიდი რვიანის" წევრობა. მოსკოვის ჩართულობა გლობალური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში შეიზღუდა: მისი წინადადებები გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომებზე აშშ-ს, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მიერ იქნა დაბლოკილი. რუსეთს ოკუპირებული აქვს საქართველოს ტერიტორიები, აშკარად აქვს ევროპული არჩევანის მქონე პოსტსაბჭოთა ქვეყნების მიმართ დამშინებლური პოლიტიკა, ნათელია მისი მხარდაჭერა უკრაინის წინააღმდეგ ბრძოლაში დონაბის სამხედრო ძალებზე, სირიის კრიზისში კი ბაშარ ალ ასადის. გარდა ამისა, მოსკოვის აგრესიული რეაქცია უდავოა, როდესაც საქმე ეხება ნატო-ს საჰაერო და საზღვაო ძალების მიახლოებას რუსეთის სამეზობლოში.

ეს ნიშნავს იმას, რომ სამყარო შევიდა დაპირისპირებების, სამხედრო და პროპაგანდისტული ბრძოლის, გამალებული შეიარაღების და საერთაშორისო სამართლის უგულვებელყოფის ურთიერთბრალდების ახალ ჩიხში. 1975 წლის ჰელსინკის შეთანხმებები ირღვევა და მსოფლიო ნელ-ნელა მიიწევს ახალი "ცივი ომის" ეტაპისკენ.

რუსეთის, როგორც გლობალური მოთამაშის კვლავ აღმოცენებას არსებითი გავლენა აქვს საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის რეგიონზე. შესაბამისად, თემის ანალიზი მნიშველოვანია, რადგან დღესდღეობით მშვიდობა, უსაფრთხოება და სტაბილურობა თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკის ძირითადი გამოწვევებია, განსაკუთრებით სამხრეთ კავკასიის რეგიონის პატარა და სუსტი ქვეყნებისთვის.

თეორიული და პრაქტიკული ღირებულება

თეორიული ღირებულება: ნაშრომი მიზნად ისახავს ნეორალიზმის, ნეოკლასიკური რეალიზმისა და კონსტრუქტივიზმის მიდგომით ახსნას რუსეთის საგარეო პოლიტიკა საქართველოს და სამხრეთ კავკასიის დანარჩენი ქვეყნების მიმართებით. საბოლოოდ, კვლევა ემსახურება მიზანს, წარმოდგენილ იქნას რელევანტური დასკვნები, რამაც შეიძლება გეზი მისცეს კვლევის შემდგომ ეტაპზე გაგრძელებას და განვითარებას.

პრაქტიკული ღირებულება: დისერტაციის შედეგებზე დაყრდნობით, ნაშრომი შეიძლება გამოიყენოს საქართველოს მთავრობამ. კვლევა ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნას უნივერსიტეტში, კურსებზე სწავლებისას. გარდა ამისა, ნაშრომი შეიძლება საინტერესო იყოს მკითხველების ფართო სპექტრისთვის, განსაკუთრებით კი სოციალური მეცნიერებების სტუდენტებს დააინტერესებს და დაეხმარება.

ჰიპოთეზა

რუსეთის საგარეო პოლიტიკის ქმედებების ზოგადი ხასიათი ცვლის მსოფლიო უსაფრთხოების ლანდშაფტს და სამხრეთ კავკასიის უსაფრთხოებას ორმაგი საშიშროების ქვეშ აყენებს. მსოფლიოს ასპარეზზე კვლავ აღმოცენებით, კრემლი ცდილობს თავისი ძალაუფლების მაქსიმალურად გაზრდას და უსაფრთხოების

უზრუნველყოფას. მის ამ გამოჩენას აგრესიული ბუნება აქვს, რომელსაც ახორციელებს სამეზობლოს უსაფრთხოებაზე თავდასხმის ხარჯზე.

რუსეთის მთავარი ინტერესია ჰქონდეს წამყვანი როლი მსოფლიოს მასშტაბით, ძირი გამოუთხაროს დასავლეთის ყოფნას სამხრეთ კავკასიაში, რომელსაც თავისი "გავლენის სფეროდ" მიიჩნევს, განამტკიცოს თავისი სტრატეგიული პოზიცია სამეზობლოში და კიდევ უფრო შორს, რათა აღადგინოს საბჭოთა კავშირის ძველი დიდება და დაბრუნდეს საერთაშორისო არენაზე, როგორც უმნიშვნელოვანესი გლობალური მოთამაშე, რომლის სახელს და ინტერესებს სათანადოდ სცემენ პატივს.

რუსეთიდან მომდინარე საფრთხე ასეთი შესამჩნევი ცივი ომის დასრულების შემდეგ არ ყოფილა. იმ შემთხვევაში, თუ დასავლეთი ვერ შეძლებს ეფექტურად შეაკავოს რუსეთი, არამხოლოდ სამხრეთ კავკასია, არამედ მსოფლიო წესრიგის სტაბილურობა და უსაფრთხოება გარდაუვალი რისკის ქვეშ აღმოჩნდება.

კვლევის მეთოდოლოგია

მეთოდოლოგიურად ნაშრომი შესასწავლი საკითხის ტიპოლოგიიდან გამომდინარე, თვისებრივი კვლევების კატეგორიაში მოიაზრება და საბაზისო მეთოდოლოგიურ მიდგომად დედუქციურ მეთოდს იყენებს.

კვლევაში ინფორმაციის მოძიების ძირითად მეთოდებად და შედეგების რელევანტურობის და სანდოობის გაზრდის კუთხით გამოყენებულია პირველადი და მეორადი წყაროები.

● პირველადი წყაროები: ოფიციალური დოკუმენტები, ხელშეკრულებები, მნიშვნელოვანი თანამდებობის პირთა (პრეზიდენტები, დიპლომატები, ექსპერტები და ა.შ.) გამოსვლები, განცხადებები და კომუნიკეები, საგარეო საქმეთა სამინისტროების განცხადებები; ანალიტიკური ორგანიზაციების კვლევები; ინტერვიუები მაღალი რანგის დიპლომატებთან და პოლიტიკურ პირებთან (დისკუსიის ანალიზზე დამატებით მეთოდის სახით).

● მეორადი წყაროები: წიგნები; აკადემიური სტატიები; სამეცნიერო ჟურნალები.

ნაშრომის თეორიული ჩარჩო

ნაშრომში ანალიტიკურ მექანიზმად გამოყენებულია ნეორალიზმის, ნეოკლასიკური რეალიზმისა და კონსტრუქტივიზმის მიდგომები, რათა აიხსნას რუსეთის საგარეო პოლიტიკის თავისებურება საქართველოს და სამხრეთ კავკასიის დანარჩენი ქვეყნების მიმართებით, გადამოწმდეს საკვლევი ჰიპოთეზა და საბოლოოდ კი იგი დადასტურებულ ან უარყოფილ იქნას.

ფენომენის შერჩევის მიზეზი

კვლევა მოიცავს სამხრეთ კავკასიის კომპლექსურ ქეისს, სადაც სამი დამოუკიდებელი შემთხვევის ანალიზია (იგულისხმება საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი) მოცემული. სამხრეთ კავკასიის რეგიონი განიხილება ასევე "ბუფერული" ზონის კონტექსტშიც. შესაბამისად, კვლევა ემსახურება მიზანს, რომ არამარტო შემოწმდეს შერჩეული თეორიების რელევანტურობა რუსეთის საგარეო პოლიტიკის სტილისა სამხრეთ კავკასიის რეგიონის მიმართ, არამედ ნაშრომი ასევე მიმოიხილავს არსებული ფენომენის აღმოცენების წინარე პირობებს და აანალიზებს მის მნიშვნელობას. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ რუსეთის გეოპოლიტიკური მისწრაფებები თავისი "ექსკლუზიური ინტერესების სფეროს" მიმართ სისტემატიურად მზარდია და უფროდაუფრო აშკარა ხასიათის ხდება, შექმნილი სიტუაცია გადაუჭრელ დილემას წარმოადგენს. შესაბამისად, სამხრეთ კავკასიის ამ ქეისის კვლევას გააჩნია სათანადო მნიშვნელობა და განსაკუთრებულობა.

კვლევის პროცესში წამოჭრილი გამოწვევები

კვლევის წარმოებისას შევეცადე მომეძიებინა მაქსიმალურად სანდო და ზუსტი მასალა, თუმცა, ამის მიუხედავად მიმაჩნია, რომ გამოყენებული ლიტერატურა არ შეიძლება შეფასდეს აბსოლუტურად უნაკლოდ. საბედნიეროდ, მქონდა შესაძლებლობა გაერთიანებულ სამეფოში, კერძოდ ბირმინგემის უნივერსიტეტში გამეტარებინა 1 თვე კვლევითი ვიზიტით, სადაც მქონდა წვდომა კარგი ხარისხის ლიტერატურასთან. ამ ყოველივემ, ისევე როგორც აკადემიურ სფეროში მოღვაწე ქართველ და ბრიტანელ პროფესიონალებთან და მაღალი დონის პოლიტიკურ

პირებთან კომუნიკაციამ სათანადოდ შეიტანა წვლილი ნაშრომის ხარისხის გაუმჯობესებაში.

თუმცა, ამჟამად საქართველო-რუსეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობების შეწყვეტის გამო, ვერ შევძელი კვლევითი ვიზიტით გარკვეული პერიოდი გამეტარებინა რუსეთში, მაგრამ ამის მიუხედავად, მოვახერხე ინტერვიუს ჩაწერა რუსეთის მხარის სათანადო წარმომადგენელთან. გარდა ამისა, ნაშრომზე მუშაობის პერიოდში, ვერ შევძელი საქართველოში კონფლიქტურ ტერიტორიებზე გადაადგილება. ამ დაბრკოლებების არარსებობას შესაძლებელია გარკვეული გავლენა მოეხდინა კვლევის წარმოების პროცესში, თუმცა საბოლოო, დასკვნითი შედეგების მისაღებად არსებითი მნიშვნელობა ნაკლებად ექნებოდა.

გარდა ამისა, დისერტაციის წარდგენა შემჭიდროვებულ ვადებში ჩემთვის გარკვეულწილად წარმოადგენდა არსებით გამოწვევას.

I თავი: ლიტერატურის მიმოხილვა

I თავი ეთმობა ლიტერატურის მიმოხილვას, სადაც გაანალიზებულია ნეორეალიზმის, ნეოკლასიკური რეალიზმის და კონსტრუქტივიზმის მიდგომები და შერჩეული თეორიების რელევანტურობა რუსეთის არსებულ საგარეო პოლიტიკურ კურსთან სამხრეთ კავკასიის რეგიონის მიმართ. ნაშრომის ამ სეგმენტში ასევე განხილულია მკვლევართა მიერ რუსეთის ინტერესების ანალიზი სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში.

ლიტერატურის მიმოხილვის ეს ნაწილი ეხება ნეორეალიზმის (სტრუქტურული რეალიზმი) ორ ვარიანტს: ჯონ მერშაიმერის "აგრესიული" ("თავდასხმითი") რეალიზმისა და კენეთ უოლცის "თავდაცვითი" რეალიზმის კონცეფციას შორის განსხვავებათა ანალიზს, ასევე გიდეონ როუზისა და სხვა გამოჩენილი ფიგურების ხედვას ნეოკლასიკური რეალიზმის პრონციპებზე და ალექსანდრე ვენდტის კონსტრუქტივიზმის მიდგომას. შერჩეული თეორიები განიხილება მათი შესაბამისობით რუსეთის საგარეო პოლიტიკურ კურსთან სამხრეთ კავკასიის რეგიონის მიმართ.

კენთ უოლცის "თავდაცვითი" რეალიზმის კონცეფციას მიხედვით, სახელმწიფოთა მხრიდან სწრაფვა მოიხვეჭონ რაც შეიძლება მეტი ძალაუფლება არ არის გონივრული, რადგან ჰეგემონიის სურვილი დიდი რისკის შემცველი მიდგომაა. რაც შეეხება ჯონ მერშაიმერის "თავდასხმითი" რეალიზმის ხედვას, მაქსიმალური ძალაუფლების მოპოვების მცდელობა მართებულია, არა იმიტომ, რომ აგრესიული მიდგომა თავისთავად კარგია, არამედ იმ მიზეზის გამო, რომ მაქსიმალური ძალაუფლების ქონა პირდაპირი გარანტიაა გადარჩენისა საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში.

თავდაცვითი რეალიზმი ამტკიცებს, რომ სახელმწიფოები იბრძვიან სტატუს-კვოს შესანარჩუნებლად და დიდ ყურადღებას აქცევენ ძალთა ბალანსს სისტემაში. აქედან გამომდინარე, თავდაცვითი რეალიზმის მიხედვით, სახელმწიფოთა მთავარი მიზანია ძალის შენარჩუნება და არა გაზრდა. თავდასხმითი რეალიზმი კი ამის საპირისპიროდ ამტკიცებს, რომ არ არსებობს სტატუს-კვო სახელმწიფოები. საერთაშორისო სისტემა ქვეყნებს სთავაზობს საკმარის მიზეზებს და შესაძლებლობებს იმისათვის, რომ ისინი ყოველთვის ილტვოდნენ თავიანთი ძლიერების გაზრდისაკენ სხვა სახელმწიფოების ხარჯზე და გამოიყენონ ისეთი სიტუაციები, როდესაც წამოწყების ღირებულება/შედეგი აღემატება დანახარჯებს (cost-benefit calculation). ამრიგად, თავდასხმითი რეალიზმის თვალსაზრისით სახელმწიფოთა საბოლოო და უზენაესი მიზანია იყოს ჰეგემონი სისტემაში.

უოლცის თავდაცვითი რეალიზმის გაგებით, საერთაშორისო სისტემაში ანარქიის პირობებში სახელმწიფოებს უფრო მეტად აქვთ ტენდენცია მოხდეს 'ძალთა ბალანსი', ვიდრე მიმართონ 'მიტმასნების' პოლიტიკის არჩევანს, რადგან ასეთი მიდგომა წარმოადგენს მათი უსაფრთხოებისთვის ყველაზე ნაკლებად საფრთხისშემცველ ტაქტიკას.

მერშაიმერის თავდასხმითი რეალიზმის მიდგომა კი სრულად კონტრასტულია, რომლის მიხედვითაც მსოფლიო პოლიტიკა წარმოდგენილია ჰეგემონიის მაძიებლებით (რეგიონული ჰეგემონის მაძიებელთა ჩათვლით), ვიდრე სტატუს კვო

სახელმწიფოებით. ანარქიული საერთაშორისო სისტემა კი ძალაუფლების გაზრდისა და შესაბამისად გადარჩენისთვის ყველაზე ხელსაყრელი გარემოებაა სახელმწიფოსთვის. თავდასხმითი რეალიზმი წინასწარმეტყველებს უფრო მეტ კონფლიქტსა და ომზე, ვიდრე უოლცის თავდაცვითი რეალიზმი.

თავდასხმითი რეალიზმის პრინციპების გათვალისწინებით, დასავლეთისა და რუსეთის დაპირისპირებამ სამხრეთ კავკასიის რეგიონში გამოიწვია 2008 წლის აგვისტოს ომი რუსეთ-საქართველოს შორის. საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, დიდი ძალაუფლების მქონე ქვეყნები ავლენენ ტენდენციას რეგიონალური ჰეგემონიის მოპოვებისათვის. ანალოგიურად, "რუსეთი დიდი ძალაუფლების მქონე ქვეყანაა და ლოგიკურია, რომ მიისწრაფვის საკუთარი უსაფრთხოების განმტკიცებისათვის. ამ ლოგიკაზე დაყრდნობით, მას შესაბამისად არჩეული აქვს ექსპანსიური პოლიტიკა პატარა ქვეყნების მიმართ, როგორც მაგალითად საქართველოა" (Karagiannis, 2013, გვ. 89).

გიდეონ როუზი (1998, გვ.157) ნეოკლასიკური რეალიზმის ძირითად პრინციპად მიიჩნევს სახელმწიფოების მხრიდან ყოველგვარი მოქმედების იარაღის გამოყენებას მათ გარემოში დომინირების მიზნის მისაღწევად.

ეს პრინციპი გულისხმობს სხვადასხვა მეთოდებისათვის მიმართვას, დაწყებული სამხედრო ძალის ალტერნატივის გამოყენებიდან, პოლიტიკური (ტრადიციული დიპლომატია), ეკონომიკური, იდეოლოგიური და ძალაუფლებისა და გავლენის მოხდენის ყველა ასპექტის ჩათვლით, რომელიც არის სახელმწიფო მოხელეთა განკარგულებაში და ემსახურება ქვეყნის გრძელვადიანი ინტერესების გაძლიერებას და დაცვას (Becker, Cohen, Kushi, & McManus, 2016, გვ. 117). გარდა ამისა, ნეოკლასიკური რეალიზმი მნიშვნელოვნად აფასებს ისტორიული გამოცდილების საკითხს, როდესაც განიხილება სახელმწიფოთა ქცევა საერთაშორისო სისტემაში (Rose, 1998).

კრემლის ინტერვენციონისტულ მიდგომას ნეოკლასიკური რეალიზმი ხსნის როგორც შედეგს, რუსეთის წარსულში არსებული ჰეგემონის პოზიციისა მსოფლიოს ასპარეზზე და ასევე მის ამჟამინდელ მდგომარეობას, რომელიც ძალაუფლებას თანდათან იკრებს როგორც რევიზიონისტული მოთამაშე საერთაშორისო არენაზე.

მოსკოვი ვერ ეგუება იმ პოლიტიკური ინსტიტუტების შექმნას, რომელთა ფორმირება მოხდა დასავლური ძალების მიერ იმ პერიოდში, როდესაც ის არ იყო ძლიერი. რუსეთის ახლანდელ სწრაფვას წარმოადგენს ჩამოშალოს ეს სტატუს კვო ახალი მსოფლიო წესრიგის დასამყარებლად, რომელიც მას დაეხმარება თავისი საერთაშორისო წონადობის გაზრდაში (Rose, 1998). ნეოკლასიკური რეალიზმი დამაჯერებელ პასუხს სცემს თანამედროვე რუსეთის ქცევას, რომელიც მიმართავს იმ არატრადიციულ მეთოდებსაც, საგარეო პოლიტიკური კურსის წარმოებისას, რომელსაც ტრადიციული რეალისტური კონცეფციები არ მოიცავს (Kitchen, 2010). რუსეთის ასეთი მიდგომა ემსახურება მიზანს, არამარტო უზრუნველყოს საკუთარი უსაფრთხოება, არამედ გააძლიეროს თავისი ინტერესების დაცვა ჰეგემონიის მისაღწევად როგორც რეგიონალურ, ისე მსოფლიო დონეზე (Becker, Cohen, Kushi, & McManus, 2016). დღესდღეობით, არც რუსეთი და არც ზოგადად სხვა სახელმწიფოები არ ეყრდნობიან მხოლოდ სუფთა სამხედრო ძალას, რათა მიაღწიონ საკუთარ მიზნებს. გარადა ამისა, მათ რიტორიკას და საკუთარი ქმედებების თვითგამართლებას მრავალმხრივი ხასიათი აქვს. რომ შევაჯამოთ, უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთი სარგებლობს სხვადასხვაგვარი მეთოდების გამოყენებით გაამართლოს თავისი ქმედება ყირიმის ანექსიის შემთხვევაში, ისევე, როგორც ეს მოხდა 2008 წელს, საქართველოს შემთხვევაში. მოსკოვმა აშკარად დაარღვია საერთაშორისო სამართლის ნორმები, თუმცა იგივე ნორმებით შეცადა თავისი ქმედებისათვის, გეოპოლიტიკური მიზნებისათვის "კანონიერი" ხასიათი მიეცა "სუვერენიტეტის, თვითგამორკვევისა და ჰუმანიზმის" პრინციპებზე დაყრდნობით (Becker, Cohen, Kushi, & McManus, 2016, გვ. 118).

ზოგიერთი ნეოკლასიკოსი რეალისტი, (მაგალითად Wolhforth, 1998), უფრო მეტ აქცენტს აკეთებს არამატერიალური ფაქტორების მნიშვნელობაზე, რომელიც ასევე მოიცავს სახელმწიფოს რეპუტაციას, ღირსებას და პრესტიჟს ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსის წარმოებისას. ამ გადმოსახედიდან, ნეოკლასიკური რეალიზმი რელევანტურ ახსნას უძებნის რუსეთის მიზნებს და ქმედებებს სამხრეთ კავკასიის რეგიონში. კრემლის სამხედრო ინტერვენციამ 2008 წელს საქართველოში გაამართლა მიდგომა, რომ "რუსეთმა, როგორც დიდი ძალაუფლების მქონე სახელმწიფომ, დაიცვა

საკუთარი ღირსება და პრესტიჟი-უფრო ფართე კონტექსტში თუ განვიხილავთ-, როდესაც საქართველომ გამოავლინა თავისი მისწრაფება გამხდარიყო ნატოს წევრი (Tarver-Wahlquist & Tsygankov, 2009).

კონსტრუქტივიზმის ძირითადი პრონციპები ეფუძნება მიდგომას სახელმწიფოთა მხრიდან თუ როგორ განსაზღვრავენ ქვეყნები საკუთარ ეროვნულ ინტერესებს, როგორ აღიქვამენ საკუთარი ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ წამოჭრილ საფრთხეებს და როგორი ურთიერთობები აქვთ სხვა სახელმწიფოებთან. კერძოდ, კონსტრუქტივიზმი სვამს კითხვას " როგორ ახდენენ ქვეყნები საკუთარი ინტერესების ფორმირებას ერთმანეთთან ურთიერთკავშირით"(Goldstein & Pevehouse, 2013–2014, გვ. 97).

კონსტრუქტივიზმი არ მოიაზრებს ანარქიას, როგორც სიტუაციისა და საერთაშორისო ურთიერთობებში სახელმწიფოთა ქცევის განმსაზღვრელს. ამ შემთხვევაში ემოციები და ძალაუფლების კალკულაცია, ღირსებისა და აღიარების სურვილი არის ის ფაქტორები, რომლებიც ახდენენ სახელმწიფოთა ქცევის კონფიგურაციას, მაგრამ თითოეული მათგანი განიხილება ყოველდღიური ურთიერთკავშირების და სოციო-ისტორიული განვითარების კონტექსტში.

მეცნიერები აღნიშნავენ, რომ რუსეთის თავდაუზოგავ მცდელობას საერთაშორისო აღიარებისთვის ამოძრავებს ღირსებისა და პატივის მოპოვების და დაცვის სურვილი. (Tarver-Wahlquist & Tsygankov, 2009). იგივე შეიძლება ითქვას მის პოლიტიკაზე კავკასიის რეგიონში, კერძოდ, იმ მიზეზის გამო, რომ რუსეთი თავის თავს წარმოაჩენს როგორც მიუკერძოებელ შუამავალს და მშვიდობის გარანტორს რეგიონში და ასეთი აღქმა ფართოდ არის მხარდაჭერილი შიდა საზოგადოების გარკვეული ნაწილის მიერ, ისევე როგორც გარკვეულ ეროვნებათათვის რუსეთი საკმაოდ მისაღები და სასურველია (Tarver-Wahlquist & Tsygankov, 2009, გვ. 10).

საქართველოს ქმედებაც ასევე განპირობებულია ღირსების ფაქტორების გათვალისწინებით რუსეთთან ურთიერთობაში. კრემლის იმედგაცრუება არის შედეგი აშშ-ისა და ნატოს მხრიდან რუსეთის გავლენის არაღიარებისა. საქართველოს გაღიზიანების მიზეზი კი სათავეს იღებს რუსეთის წინააღმდეგობიდან, პატივი სცეს მის დამოუკიდებლობას და თავისუფალ ნებას აირჩიოს საგარეო პოლიტიკური კურსი საკუთარი სურვილის შესაბამისად. ასე, რომ ეს არის "ორმხრივად

ექსკლუზიურ ღირსებასა და პატივზე პრეტენზიის გაცხადების" დინამიკის სურათი, რომელიც შესაბამის ახსნას უძებნის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ესკალაციას, ვიდრე თვით სერთაშორისო სისტემის სტრუქტურას, როგორც ეს ხდება დანარჩენი თეორიების კონცეფციათა განხილვისას (Tarver-Wahlquist & Tsygankov, 2009, გვ. 11).

ამ მიდგომის მიხედვით, როდესაც საქართველოს აქვს სურვილი ჰქონდეს დამოუკიდებელი არჩევანის გაკეთების საშუალება საგარეო პოლიტიკის სტრატეგიებში, თავდაუზოგავად მიისწრაფვის, რომ მიაღწიოს და შეინარჩუნოს ტერიტორიული მთლიანობა და ამ მიზნების მიღწევის მცდელობის პროცესში მას წინ აღუდგება რომელიმე ძალა, საქართველოს მხრიდან შესაბამისად აღიქმება, როგორც მისი ეროვნული ინტერესებისთვის საფრთხის შემცველ სუბიექტი.

სურათი მსგავსია რუსეთის შემთხვევაშიც ამ მიდგომის გათვალისწინებით. რუსეთი ცდილობს შენარჩუნდეს, როგორც დიდი ძალაუფლების მქონე მოთამაშე შესაბამისი გავლენების მოპოვებისა და შენარჩუნების მცდელობით სამხრეთ კავკასიის რეგიონზე. მისი ეს სურვილი კი საქართველოს მხრიდან პირდაპირ თუ ირიბად აღქმულია საკუთარი სუვერენიტეტის წინააღმდეგ მომართულ ქმედებად: ოფიციალური თბილისი კრემლს მიიჩნევს პირდაპირ ბარიერად საქართველოს ტერიტორიული ინტეგრაციის უზრუნველყოფის საკითხში მისი საგარეო პოლიტიკის გამო და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიების ოკუპირებით, რუსეთი კი თავის თავს აცხადებს პირიქით, სტაბილიზატორის ფუნქციის მატარებელად ამ ცვალებად რეგიონში.

რუსეთი საშინლად ღიზიანდება დასავლეთის ამბიციით, ჰქონდეს გადამწყვეტი როლი მსოფლიო პოლიტიკაში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რადგან თვითონ რუსეთსაც გააჩნია ძლიერი ამბიცია ისევე წარმოადგენდეს გლობალური მოთამაშეს. დასავლეთის პოლიტიკა საქართველოსთან მიმართებაში, რომელიც ესწრაფვის გაწევრიანდეს ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში, მნიშვნელოვანწილად კი ნატოში, კრემლის მხრიდან ფასდება, როგორც მისთვის მზარდ ეგზისტენციალურ საფრთხედ. თავისმხრივ, საქართველოს ინტერპრეტაციით, მისი ჩრდილოელი


მეზობლის აგრესიული საგარეო პოლიტიკური მიდგომა ძირს უთხრის საქართველოს სუვერენიტეტს (Tarver-Wahlquist & Tsygankov, 2009, გვ. 12).

II თავი: საქართველოს საგარეო პოლიტიკური სტრატეგიები

II თავი მოიცავს საქართველოს საგარეო პოლიტიკური სტრატეგიების მიმოხილვას. საქართველოს საწყის საგარეო პოლიტიკური კურსის წარმოებისას ჭარბობს "ევროპული" იდენტურობა (Kakachia & Minesashvili, 2015). ნეორეალისტური მიდგომის მიხედვით, ძალთა ბალანსის კონცეფცია მიუთითებს, რომ სუსტი ქვეყნები თავისი უსაფრთხოების დაცვის მიზნით ავლენენ ტენდენციურობას აირჩიონ დაბალანსების სტრატეგია ყველაზე ძლიერი მოთამაშის მიმართ, ან პირიქით მიეტმასნონ დომინანტ სახელმწიფოს (Jervis & Snyder, 1991) (Walt, 1990). რეალიზმის თეორიის მიხედვით (Walt, 1987), ქვეყნები ბალანსირებენ არა ყველაზე ძლიერი, არამედ ყველაზე საშიში მოთამაშის მიმართ. მათი გადმოსახედიდან, საფრთხე განისაზღვება ისეთი ფაქტორების გავლენით, როგორცაა გეოგრაფიულად ახლომდებარეობა, აგრესიული ძალაუფლება და აგრესიული ზრახვები. თუ ჩვენ პოსტსაბჭოთა ქვეყნებს ამ ჭრილში განვიხილავთ, შეიძლება ითქვას, რომ ნეორეალიზმის(სტრუქტურული რეალიზმის) თეორია ეჯახება გარკვეულ გადახრას თავისი კონცეფციებიდან, როგორც დაბალანსების ისე მიტმასნების სტრატეგიების კონტექსტში: მაგალითად, საქართველოს შემთხვევაში, 2008 წლის ომის შედეგად მის ჩრდილოელ მეზობელთან, მოხდა პროდასავლური კურსის არა შეწყვეტა, არამედ შენარჩუნება, გაგრძელება და გაძლიერება. მაშინ, როდესაც საქართველომ დაინახა, რომ მისი მიმართულებით რუსეთიდან წამოსული საფრთხის შეკავების და დაბალანსების აშკარა სურვილი დასავლეთმა ნაკლებად გამოავლინა, ნეორეალიზმის მიდგომით, საქართველოს შემთხვევაში ლოგიკური იქნებოდა მიტმასნების სტრატეგიის არჩევა რუსეთთან, თუმცა ეს ასე არ მოხდა და ქვეყანამ უპირობოდ აირჩია პროდასავლური კურსის გაგრძელება.

ქვემოთ მოცემული ფიგურა მიუთითებს იმ ფაქტორებზე, რომლებმაც გავლენა მოახდინა ევროპული არჩევანის მქონე პოსტსაბჭოთა ქვეყნის(საქართველო) საგარეო პოლიტიკურ კურსზე.

სქემა 1. ფაქტორები, რომლებმაც გავლენა მოახდინა ევროპული არჩევანის მქონე პოსტსაბჭოთა ქვეყნის(საქართველო) საგარეო პოლიტიკურ კურსზე.



შედგენილია ავტორის მიერ

III თავი: რუსეთი სამხრეთ კავკასიაში

III თავი განიხილავს 'მსოფლიო უსაფრთხოების არქიტექტურის' რუსეთის მოდელს; რუსეთის ინტერესებს სამხრეთ კავკასიაში; სამხრეთ კავკასიას, როგორც "ბუფერულ" ზონას; აზერბაიჯანის და სომხეთის საგარეო პოლიტიკურ არჩევანს; ცვალებად ჩრდილოეთ კავკასიას; პუტინის ახალი დოქტრინის ძირითად ასპექტებს; რუსეთის "ჰიბრიდული ომის" ტაქტიკას და რუსეთის დოქტრინას "ლიბერალური იმპერიის" შესახებ.

ვლადიმერ პუტინმა 2007 წლის მიუნხენის კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას აუდიტორიის წინაშე მკაცრად გააკრიტიკა აშშ-ის გლობალური უზენაესობის და მონოპოლიური სტატუს კვოსკენ სწრაფვა და ნატოს აღმოსავლეთით გაფართოების პოლიტიკა შეაფასა როგორც აშკარა პროვოკაცია კრემლის წინააღმდეგ, რომელიც სათანადოდ იქნებოდა რუსეთის მხრიდან პასუხგაცემული.

2008 წლის ივნისში, რუსეთის პრეზიდენტმა მედვედევმა წარმოადგინა კონცეფცია 'ევროპის უსაფრთხოების ახალი არქიტექტურა'. ეს იყო ინიციატივა, მომხდარიყო არსებული უსაფრთხოების ლანდშაფტის ხელახალი ფორმირება 'ვანკუვერიდან ვლადივოსტოკამდე'. 2008 წლის ეს წინადადება შეიძლება შეფასდეს პირველ რიგში როგორც " მოსკოვის მცისიერი რეაქცია ნატოს გაფართოების პოლიტიკაზე, ანტისარაკეტო თავდაცვასა და აშშ-ის უნილატერალიზმზე". მეორე, უსაფრთხოების ალტერნატიული სქემის შემოთავაზებით, კრემლმა მოახდინა თავისი ამბიციის დემონსტრირება, ჰქონდეს გადამწყვეტი მოთამაშის როლი როგორც რეგიონალურ, ისე გლობალურ დონეზე. მესამე, რუსეთის მხრიდან მოდიფიცირებული ევროპის უსაფრთხოების არქიტექტურის მოდელის შემოთავაზება არ იყო შემთხვევითი. კრემლმა დაანახა მსოფლიოს, რომ საკუთარ ძალებში დარწმუნებულია და სხვებმა - ძლიერმა მოთამაშეებმაც და პატარა სახელმწიფოებმაც, რუსეთი თავის ინტერესებთან ერთად სათანადოდ უნდა შეაფასონ და დააფასონ (Lo, 2009, გვ. 1,2).

სამხრეთ კავკასიის რეგიონი რუსეთის უმთავრეს გეოპოლიტიკური ინტერესების სივრცეს წარმოადგენს. კრემლის მიზანია აღადგინოს ძველი დიდება და ამას არც მალავს. დიმიტრი მედვედევმა პრეზიდენტობის პერიოდში აღნიშნა, რომ ევრაზია რუსეთისთვის არის "ექსკლუზიური ინტერესების სფერო"(Roberts, Cohen, & Blaisdell, 2013, გვ. 1) (Cohen, 2010) (The Financial Times, 2008). იმის მიუხედავად, რომ საბჭოთა კავშირი დაიშალა, რუსეთმა მოახერხა სამხედრო ბაზების შენარჩუნება სამხრეთ კავკასიის ორი ქვეყნის ტერიტორიაზე: 3-5000 მდე შეიარაღებული ძალა კრემლს განლაგებული ჰყავს გიუმრიში, სომხეთში, და 8000 -მდე ჯარისკაცი კი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპირებულ ტერიტორიებზე, საქართველოში.

კავკასიის რეგიონი რუსეთისთვის, რომელსაც დიდი მოთამაშის სტატუსზე აქვს პრეტენზია, არსებითი მნიშვნელობის მატარებელია დასავლეთის ძალებთან (აშშ და ევროკავშირი) რეგიონალურ მეტოქეობაში (European Stability Initiative, 2009).

სამხრეთ კავკასია, გარდა კონკრეტული ფაქტორებისა, რომლის გამოც რუსეთი მუდმივად ცდილობს რეგიონზე ჰეგემონია შეინარჩუნოს, ესაზღვრება ჩრდილოეთ კავკასიას. იგი წარმოადგენს სივრცეს, სადაც რუსეთის შიდა საფრთხეების

გათვალისწინებით გადის საკმაოდ მკვეთრი ზღვარი. ასევე, სამხრეთ კავკასია რუსეთს გამოყოფს სამხრეთით მდებარე რეგიონული ძალებისგან, თურქეთისა და ირანისგან. გარდა ამისა, სამხრეთ კავკასიის რეგიონი გამოირჩევა არასტაბილურობით და მუდმივი ცვალებადობით გადაუჭრელი სახელმწიფოთაშორისი და შიდასახელმწიფოებრივი კონფლიქტების გამო. უფრო მეტიც, კასპიის ზღვის აუზი, რომელიც მდიდარია მინერალური რესურსებით ხაზს უსვამს სამხრეთ კავკასიის რეგიონის მნიშვნელობას რუსეთისათვის. ამას ემატება ის გარემოება, რომ რეგიონი მუდმივად არის დიდი ყურადღების ქვეშ გლობალური და რეგიონული ძალების მხრიდან (Naumkin, 2002). მის მიმართ ასეთი ინტენსიური ინტერესი გამოწვეულია რეგიონის როგორც სამხედრო, ასევე ეკონომიკური მნიშვნელობის მოტივთა გათვალისწინებით.


რუსეთი სამხრეთ კავკასიის რეგიონში მიმართავს 'დაყავი და იბატონე'-ს პრინციპს და ეფექტურად, თავის სასარგებლოდ იყენებს გადაუჭრელ კონფლიქტებს: კრემლმა გააძლიერა სამხედრო ძალების განლაგება სომხეთში და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, სადაც გაამყარა ასევე მათზე კონტროლი. მოსკოვი თამაშობს მთავარი მომრიგებლის როლს მთიანი ყარაბაღის კონფლიქტში, ზურგს უმაგრებს სომხეთს, თუმცა საბრძოლო იარაღით კონფლიქტის ორივე მხარეს ამარაგებს, იმისათვის რომ გარანტირებული იყოს სამხედრო ბალანსი. ასე, რომ კონფლიქტის მოგვარება რუსეთის ინტერესებში არ შედის, რადგან ასეთი მყიფე გარემო დაპირისპირებულ ქვეყნებს კიდევ უფრო დამოკიდებულს ხდის მოსკოვზე. ეს კი რუსეთის წისქვილზე პირდაპირ ასხამს წყალს და მის როლის გაძლიერებას კიდევ უფრო ხელს უწყობს."რუსეთი დიპლომატიასთან აერთიანებს სამხედრო ძალას იმგვარად, რომ რეგიონში კიდევ უფრო არაპროგნოზირებადი გარემო შეიქმნას" (Boonstra, 2015, გვ. 17). ასეთი მოწყვლადი ატმოსფერო რეგიონში, რომელსაც გადაუჭრელი კონფლიქტების პრობლემა აქვს, არასტაბილურობის კიდევ უფრო გაზრდის ხელსაყრელ პირობებს ქმნის კრემლისთვის, როგორც კი ის საამისო საჭიროებას დაინახავს.

სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს არჩეული აქვთ ერთმანეთისგან კონტრასტული საგარეო პოლიტიკური კურსი: სომხეთს არჩეული აქვს რუსეთთან მიტმასნების, ხოლო

საქართველოს დასავლეთთან მიტმასნების სტრატეგიები. რაც შეეხება აზერბაიჯანს, ბაქო უპირატესობას ანიჭებს რუსეთსა და დასავლეთს შორის ნეიტრალურ საგარეო პოლიტიკურ კურსს, რადგან ასეთი სტრატეგია მისთვის უფრო მეტად მომგებიანია, ვიდრე ერთი ძლიერი ძალისთვის მხარდაჭერა სხვა ძალების ხარჯზე. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ აზერბაიჯანი გახდა ერთადერთი სახელმწიფო სამხრეთ კავკასიაში, რომელმაც მოახერხა რუსეთის შეიარაღებულ ძალებს სრულად დაეტოვებინათ მისი ტერიტორია.

მოსკოვის მთავარი მიზანია სამხრეთ კავკასიის რეგიონი ბუფერულ ზონად შექმნას დასავლეთსა და რუსეთს შორის და აქ არსებული გაყინული კონფლიქტები მანიპულირების ხელსაყრელ საგნად აქციოს, სადაც სამხდრო ძალაც კი იქნა გამოყენებული, მაგალითად 2008 წელს საქართველოსთან მიმართებაში. მსგავსი მიდგომა ემსახურება მიზანს, ეს ყოველივე გამოყენებულ იქნას "კოზირად ნატოს აღმოსავლეთით გაფართოების შეფერხებისას"(Matsaberidze, 2015, გვ. 86) და ასევე მის მცდელობას შეინარჩუნოს მუდმივი გავლენა და კონტროლი რეგიონზე.

სქემა 2: სამხრეთ კავკასიის ქვეყნების საგარეო პოლიტიკური არჩევანი



შედგენილია ავტორის მიერ

პუტინის ახალ დოქტრინასა (2014) და მის წინა ვერსიებს შორის დიდი განსხვავება არ არის, თუმცა ახალ ვერსიაში მთავარი აქცენტი დასავლეთთან მეტოქეობას ეთმობა. დოქტრინა გამიზნულია ორ: შიდა და გარე აუდოტორიაზე და მისი გზავნილი ნათელია. შიდა მესიჯის მიხედვით, ქვეყნის შიგნით არეულობის უკან დგას დასავლეთი, რომელიც ასევე ცდილობს შეაფერხოს მოსკოვის მისწრაფებები და საფრთხის ქვეშ დააყენოს ქვეყნის სტაბილურობა და უსაფრთხოება მის სამეზობლოში. დასავლეთი ის ძალაა, რომელსაც გეოპოლიტიკური ინტერესები რუსეთის წინააღმდეგ აქვს მომართული. მეორე გზავნილი ემდგნება დასავლეთს, გარე მტერს ნატოს ჩათვლით, რომელსაც კრემლი აფრთხილებს, რომ სასტიკად გაანადგურებს თავისი ბალისტიკური და სტანდარტული რაკეტებით.

დღესდღეობით, "ჰიბრიდული ომის" კონცეფცია რუსეთთან ასოცირდება, რაც გულისხმობს "ტანკებისა და არტილერიის ნაცვლად პოლიტიკის, დიპლომატიის, მედიის და კიბერსივრცის გამოყენებას მოწინააღმდეგის დესტაბილიზაციის მიზნით" (FP, 2017). მაკდერმოტის (2016, გვ. 101) მიხედვით, "თუ რუსეთის პოტენციური მტრები ფლობენ "ჰიბრიდულ" შესაძლებლობებს მოახდინონ რუსეთის დესტაბილიზაცია ფერადი რევოლუციებით, მოსკოვი საჭიროებს საკუთარ ჰიბრიდულ შესაძლებლობებს, რათა სათანადოდ დაუპირისპირდეს ამ საფრთხეს. რუსეთის მთავრობა მიმართავს "ჰიბრიდული ომის" ტაქტიკას, რათა პოლიტიკური მიზნებს მიაღწიოს: გააღვივოს უთანხმოება და დაასუსტოს ნატო, ძირითადი გამოუთხაროს პროდასავლურ მთავრობებს, შექმნას ყველანაირი წინაპირობა ომისათვის და განახორციელოს ანექსია, როგორც ამის ალტერნატივა.

რუსეთის საგარეო პოლიტიკური მიდგომა პოსტსაბჭოთა ქვეყნების მიმართ ეფუძნება რუსეთის მიერ შემუშავებული "ლიბერალური იმპერიის" დოქტრინას. დოქტრინის ძირითადი პრინციპია რუსეთის კერძო და სახელმწიფო კომპანიების მიერ პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებში ეკონომიკური ობიექტების შეძენა და ასეთი გზით მათზე კონტროლის დამყარება. ეს გულისხმობს არა სამხედრო ან პოლიტიკურ, არამედ "ეკონომიკურ ოკუპაციას" (Papava, 2007, გვ. 2). სამხრეთ კავკასიის ქვეყნებიდან ყველაზე ნათლად, კრემლის "ლიბერალური იმპერიის" ქვეშ აღმოჩნდა სომხეთი და საქართველო.

IV თავი: რუსეთის მიდგომის ანალიზი პოსტსაბჭოთა სივრცეში მრავალმხრივ თანამშრომლობაზე: კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაცია, შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაცია, ევრაზიის ეკონომიკური კავშირი და შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის და სუამის მნიშვნელობა

IV თავი აღნიშნულ რეგიონალურ ორგანიზაციებთან ერთად მიმოიხილავს სამხრეთ გაზის დერეფნის მნიშვნელობასაც.

რეგიონალური ორგანიზაციები, როგორცაა დსთ, კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაცია, შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაცია და ევრაზიის ეკონომიკური კავშირი, ხასიათდება შეზღუდული სუვერენიტეტით, თუმცა გამიზნულია უსაფრთხოების გაძლიერებისთვის რუსეთის სამეზობლოში (Averre, 2008). გასული ათწლეულის განმავლობაში კრემლმა განავითარა უფრო დახვეწილი მიდგომა მულტილატერალიზმის მიმართ პოსტსაბჭოთა არეალში. მას შემდეგ, რაც დსთ-მ რუსეთის იმედები ნაკლებად გაამართლა, მოსკოვმა მეტი აქცენტის გადატანა დაიწყო კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციასა და ევრაზიულ ეკონომიკურ საზოგადოებაზე, რომელიც შემდგომ ჩაანაცვლა ევრაზიის ეკონომიკურმა კავშირმა. მოსკოვმა წარმატებით მოახერხა გაეგრძელებინა სტრატეგიულ სფეროებში თანამშრომლობა კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციასა და ევრაზიის ეკონომიკურ კავშირის ფორმატებში, სადაც ჩინეთი არ მონაწილეობს, თუმცა ამავე დროს არსებობს შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაცია, რომელშიც თანამშრომლობის ფარგლებშიც რუსეთი კარგად სარგებლობს ჩინეთის რესურსებითა და საერთაშორისო არენაზე მისი სტატუსით. ასეთი მიდგომით, რუსეთმა კიდევ უფრო განამტკიცა თავისი წამყვანი როლი მულტილატერალიზმში პოსტსაბჭოთა სივრცის გარკვეულ ნაწილებში.

სქემა 3. პოსტსაბჭოთა სივრცეში რეგიონული ორგანიზაციების წევრობა, სადაც ჭარბობს რუსეთის გავლენა

<i>Membership of Russian -influenced Regional Organizations in the Post-Soviet Space</i>				
	CIS	CSTO	EAEU	SCO
Armenia	✓	✓	✓	
Azerbaijan	✓	Joined (1994) Withdraw (1999)		
Belarus	✓	✓	✓	
Georgia	Withdraw(2008)	Joined (1994) Withdraw (1999)		
Kazakhstan	✓	✓	✓	✓
Kyrgyzstan	✓	✓	✓	✓
Moldova	✓			
Russia	✓	✓	✓	✓
Tajikistan	✓	✓		✓
Turkmenistan	Associate member			
Ukraine	Decided to withdraw (2018)			
Uzbekistan	✓	Joined (1994- first time) Withdraw(1999-first time) Joined (2006- second time) Withdraw(2012-second time)		✓
<i>China</i>				✓
<i>India</i>				✓
<i>Pakistan</i>				✓

(Aris, 2010), მოდიფიცირებულია ავტორის მიერ

შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრი ქვეყნები საკმაოდ წარმატებულნი არიან რეგიონული თანამშრომლობისა და ეკონომიკური ინტეგრაციის ფორმატში, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ორგანიზაციის ინსტიტუტები ეკლექტური ხასიათით გამოირჩევიან და წევრ ქვეყნებს გააჩნიათ ურთიერთსაწინააღმდეგო პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები. ეს კი საკმაოდ პრობლემურ საკითხად რჩება. კერძოდ, ტერიტორიული დავები: "გაყინული კონფლიქტები" სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის მთიანი ყარაბაღის საკითხზე; მოლდოვა და თვითგამოცხადებული დნესტრისპირეთის რესპუბლიკა; რუსეთისა და საქართველოს დავა სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთზე; რუსეთისა და უკრაინის დაპირისპირება ყირიმსა და უკრაინის აღმოსავლეთ პროვინციებზე.

ეს კი ფაქტები კი იმაზე მიუთითებს, რომ ინტერესთა შეუთავსებლობას შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის პოლიტიკური კურსი სხვადასხვა მიმართულებით მიჰყავს (Schulz & Dürkop, 2014).

მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაციის ძირითადი კონცეფცია წევრი ქვეყნების მრავალმხრივი თანამშრომლობის მიზანს ემსახურება, რუსეთი მას აღიქვამს, როგორც მხოლოდ ეკონომიკურ ორგანიზაციას, არა იმიტომ რომ "მოსკოვი თვალს ხუჭავს რეგიონში არსებულ გამოწვევებზე, არამედ იმ მიზეზით, რომ რუსეთის მთავრობა უპირატესობას ანიჭებს პოლიტიკური სიძნელების გადასაჭრელად სხვა აქტიური ფორმატებისთვის მიმართვას" (Schulz & Dürkop, 2014, გვ. 9).

სუამი ძირითადად ფოკუსირებულია დემოკრატიული ღირებულებების, საერთაშორისო და რეგიონალური უსაფრთხოებისა და სტაბილურობის გაძლიერებაზე. ამასთან ერთად, ორგანიზაციის მთავარი მიზანია, პროევროპული კურსის განმტკიცება ინტეგრაციის პერსპექტივით, რათა შეიქმნას საერთო უსაფრთხოების სივრცე და გაიზარდოს ეკონომიკური და ჰუმანიტარული თანამშრომლობის სიძლიერე და პოტენციალი ტრანსპორტისა და ენერჯეტიკის სფეროში (GUAM, 2018). პოსტსაბჭოთა საერთაშორისო ალიანსებს თუ გავითვალისწინებთ, შეიძლება აღინიშნოს, რომ სუამი ერთადერთია, რომელიც წარმოადგენს კრემლის ფარული გაღიზიანების მიზეზს, რადგან მისი მხრიდან აღიქმება, როგორც აშშ-ის მიერ შემუშავებული ანტი-რუსული პროექტი ყოფილ საბჭოთა კავშირის სივრცეში. უფრო მეტიც, ის წარმოადგენს "ნატოს განმტოებას დსთ-ში" (Papava, 2008, გვ.50).

"სამხრეთ გაზის დერეფანი" არის დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტი, რომლის მიზანია შეამციროს ევროპის დამოკიდებულება რუსულ გაზზე და დაამატოს ენერგომომარაგების მრავალფეროვანი წყაროები. აზერბაიჯანიდან ევროპაში მარშრუტი შედგება შემდეგნაირად: სამხრეთ კავკასიის გაზსადენი, ტრანს-ანატოლიური გაზსადენი და ტრანს-ადრიატიკული გაზსადენი. სამხრეთ-კავკასიური გაზსადენი (ბაქო-თბილისი-ერზურუმი) გადის აზერბაიჯანსა და საქართველოზე. ტრანს-ანატოლიური გაზსადენი „TANAP“-ი გადის აზერბაიჯანიდან საქართველოსა და თურქეთის გავლით და მისი გაგრძელება ტრანს-ადრიატიკული გაზსადენი, რომელიც დაიწყება საბერძნეთში და ალბანეთის გავლით იტალიაში დასრულდება.

ამ მარშრუტის მთლიანი ინვესტიცია 40 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს. მისი მთავარი წყარო იქნება კასპიის ზღვაში მდებარე შაჰ-დენიზის გაზსადენი. ევროკავშირში აზერბაიჯანული გაზის მიწოდება 2020 წელს იგეგმება 10 მილიარდი კუბური მეტრის ოდენობით.

დასკვნა

აღნიშნულმა ნაშრომმა გამოიკვლია რუსეთის როგორც გლობალური მოთამაშის კვლავ აღმოცენების ბუნება და საფრთხის შემცველი შედეგები სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისთვის; კვლევის მთავარი მიზანი იყო 1. მიმოიხილვა თუ როგორ ხსნის ნეო-რეალისტური, ნეოკლასიკური რეალიზმი და კონსტრუქტივიზმის მიდგომა სამხრეთ კავკასიის რეგიონში რუსეთის საგარეო პოლიტიკას და რომელია ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს რუსეთის არსებულ საგარეო პოლიტიკურ კურსზე;

2. ანალიზი რუსეთის როგორც გლობალური მოთამაშის კვლავ აღმოცენების ბუნებისა და საფრთხის შემცველი შედეგებისა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისთვის;

3. მიმოიხილვა, როგორ შეიძლება რუსეთმა შეაფერხოს ევროპული არჩევანის მქონე პოსტსაბჭოთა ქვეყნების(საქართველოს) დასავლური მისწრაფებები.

ავტორი მიიჩნევს, რომ "აგრესიული" რეალიზმი შერჩეული თეორიებიდან ყველაზე უფრო სათანადოდ ხსნის რუსეთის საგარეო პოლიტიკური კურსის ბუნებას, თუმცა საერთაშორისო ურთიერთობების კვლევაში გარკვეული ორიგინალური წვლილის შეტანით, ნაშრომმა გამოავლინა, რომ ნეო-რეალიზმის, ნეოკლასიკური რეალიზმის და კონსტრუქტივიზმის გამოყენება, როგორც ანალიტიკური იარაღის სამხრეთ კავკასიის რეგიონში რუსეთის საგარეო პოლიტიკის ასახსნელად, საკმაოდ რელევანტურად უძებნის ახსნას არსებულ ფენომენს.

კვლევაში წარმოდგენილი იყო ჰიპოთეზა, რომ რუსეთის საგარეო პოლიტიკის ქმედებების ზოგადი ხასიათი ცვლის მსოფლიო უსაფრთხოების ლანდშაფტს და სამხრეთ კავკასიის უსაფრთხოებას ორმაგი საშიშროების ქვეშ აყენებს. მსოფლიოს ასპარეზზე კვლავ აღმოცენებით, კრემლი ცდილობს თავისი ძალაუფლების მაქსიმალურად გაზრდას და უსაფრთხოების უზრუნველყოფას. მის ამ გამოჩენას

აგრესიული ბუნება აქვს, რომელსაც ახორციელებს სამეზობლოს უსაფრთხოებაზე თავდასხმის ხარჯზე. რუსეთის მთავარი ინტერესია ჰქონდეს წამყვანი როლი მსოფლიოს მასშტაბით, ძირი გამოუთხაროს დასავლეთის ყოფნას სამხრეთ კავკასიაში, რომელსაც თავისი "გავლენის სფეროდ" მიიჩნევს, განამტკიცოს თავისი სტრატეგიული პოზიცია სამეზობლოში და კიდევ უფრო შორს, რათა აღადგინოს საბჭოთა კავშირის ძველი დიდება და დაბრუნდეს საერთაშორისო არენაზე, როგორც უმნიშვნელოვანესი გლობალური მოთამაშე, რომლის სახელს და ინტერესებს სათანადოდ სცემენ პატივს. რუსეთიდან მომდინარე საფრთხე ასეთი შესამჩნევი ცივი ომის დასრულების შემდეგ არ ყოფილა. იმ შემთხვევაში, თუ დასავლეთი ვერ შეძლებს ეფექტურად შეაკავოს რუსეთი, არამხოლოდ სამხრეთ კავკასია, არამედ მსოფლიო წესრიგის სტაბილურობა და უსაფრთხოება გარდაუვალი რისკის ქვეშ აღმოჩნდება.

ზემოაღნიშნული საკითხების სიღრმისეულმა განხილვამ ცხადყო, რომ წარმოდგენილი ჰიპოთეზა სათანადოდ დამტკიცდა.

დღეს მსოფლიო დინამიურ ცვლილებას განიცდის. რუსეთი ისევ მნიშვნელოვანი მოთამაშე გახდა და იგი უკვე საფრთხეს უქმნის მსოფლიოს უსაფრთხოების არსებულ არქიტექტურას. ამ ფენომენმა წამოჭრა უამრავი გამოწვევა, რომელიც სათანადოდ არ არის შესწავლილი და გაანალიზებული. რუსეთი მსოფლიო მოთამაშის ამბიციით ხელახალი გამოჩენით და თავისი აშკარა ანტიდასავლური და ანტიამერიკული სტრატეგიებით სერიოზულ გავლენას ახდენს პოსტსაბჭოთა ქვეყნებზე, რომლებმაც დატოვეს მოსკოვის ორბიტა. ასე, რომ ამ ფენომენის თვისებურების შესწავლა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისთვის საფრთხის შემცველი შედეგების ანალიზი თემის სიახლესა და აქტუალურობაზე მიუთითებს. შესაბამისად, აუცილებელი იყო საკითხის უფრო სიღრმისეული კვლევა, რომლის შედეგებიც როგორც თეორიული ისე პრაქტიკული კუთხით არსებითი მნიშვნელობისაა.

კვლევის ფორმულირება მოხდა სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყნის მაგალითზე. თითოეული მათგანი წარმოდგენილ იქნა როგორც უნიკალური ქეისი.

ნეორეალისტური თეორიის მიდგომით, სახელმწიფოთა ქცევას განსაზღვრავს საერთაშორისო სისტემა, და შესაბამისად ხსნის მათი ქმედებების მიზეზებს. სამხრეთ კავკასიის რეგიონის შემთხვევაში, რომელიც სამი სუსტი სახელმწიფოთა წარმოდგენილი, რუსეთიდან წამოსულ საფრთხესთან გასამკლავებლად ირჩევენ საგარეო პოლიტიკური კურსის შემდეგ ვარიანტებს: დაბალანსების ან მიტმასნების სტრატეგიებს. სომხეთი ირჩევს რუსეთთან მიტმასნების ვარიანტს. საქართველოს შემთხვევა გამორჩეულია, რადგან, მიხედვად იმ დიდი საფრთხეებისა, რასაც რუსეთი მის წინაშე აყენებს, ირჩევს ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან მიტმასნების სტრატეგიას. აზერბაიჯანი კი ნეიტრალურ სტრატეგიას ამჯობინებს დასავლეთსა და რუსეთს შორის.

რუსეთის ფედერაციას აქვს ძალიან მკაფიო სურვილი განსაზღვროს თავისი როლი როგორც მნიშვნელოვანი მსოფლიო მოთამაშის საერთაშორისო სისტემაში. კრემლი პოსტსაბჭოთა სივრცეს, კონკრეტულად სამხრეთ კავკასიას და განსაკუთრებით კი საქართველოს მიიჩნევს როგორც მისი იმპერიის განუყოფელი ნაწილს და დღეს ეს სურათი კიდევ უფრო მკვეთრი ხდება.

ვლადიმერ პუტინის სიტყვით გამოსვლა 2007 წელს მუნიჩის კონფერენციაზე იყო არა ცარიელი სიტყვები, არამედ რუსეთის მუქარის ნათელი სიგნალი მსოფლიოს მიმართულებით: უნიპოლარული მსოფლიო კრემლის მხრიდან შეფასდა, როგორც შორს მყოფი დემოკრატიულობისგან; აშშ-ის მონოპოლიური სტატუს კვოსკენ სწრაფვა და ნატოს აღმოსავლეთით გაფართოების პოლიტიკა - ყველანაირ ზღვარს გადასვლა და პროვოკაცია რუსეთის წინააღმდეგ. როგორც აღნიშნა პუტინმა, ეს ყოველივე სათანადოდ იქნებოდა პასუხგაცემული მოსკოვის მიერ. მალე კრემლმა სიტყვები რეალობად აქცია და რეგიონული მოთამაშის სტატუსიდან მსოფლიო მოთამაშის ამპლუაში გადაინაცვლა. 2008 წლის აგვისტოს ომმა ყველაფერს თავისი სახელი დაარქვა: ასეთი იქნება რუსეთის რეაქცია პროდასავლური ორიენტაციის მქონე ქვეყნის საპასუხოდ.

საქართველო სამხრეთ კავკასიის ქვეყნებიდან ერთადერთია, რომელსაც აშკარა და მტკიცე დასავლური გეზი აქვს და სწორედ ეს იწვევს მის მიმართ მოსკოვის უადრეს

გაღიზიანებას, რათა როგორმე შეაფერხოს მისი სწრაფვა ვეროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანებისა. ეს აგრესია გამოიხატება ტერიტორიების 20 პროცენტის ოკუპირებით, სადაც განლაგებულია 8000-მდე რუსი სამხედრო და მიმდინარე მცოცავი ოკუპაციით. სომხეთს, თავისი გეოგრაფიული მდებარეობის, ბუნებრივი რესურსების ნაკლებობის, აზერბაიჯანსა და სომხეთთან საზღვრების ჩაკეტვის და მათთან კონფლიქტული ურთიერთობების გამო სხვა გამოსავალი არ აქვს, გარდა რუსეთთან მიტმასნებისა. აზერბაიჯანისთვის დაბალანსებული სტრატეგია რუსეთთან და დასავლეთთან უფრო მეტად მომგებიანია და თან ერთადერთი ქვეყანა გახდა სამხრეთ კავკასიაში, რომლის ტერიტორიაზეც რუსეთის ჯარები არ არის განლაგებული. ეს კი მან უმტკივნეულოდ მოახერხა.

საბოლოოდ შეიძლება შეფასდეს, რომ კრემლის მიდგომა 'დაყავი და იბატონე', ძალიან წარმატებულია სამხრეთ კავკასიაში, რომელსაც გადაუჭრელი კონფლიქტების პრობლემა აქვს და მუდმივად მყიფე გარემოში უწევს არსებობა. ამ ეტაპზე, სტატუს კვოს შენარჩუნება რეგიონში კრემლის უმთავრეს ინტერესს წარმოადგენს: სტატუს კვო ყარაბახის კონფლიქტში, სადაც მთავარი მომრიგებლის როლი აქვს, თუმცა ზურგს უმაგრებს სომხეთს, მაგრამ ამავე დროს საბრძოლო იარაღით უზრუნველყოფს კონფლიქტის ორივე მხარეს. ასეთი ატმოსფერო კრემლს ხელს აძლევს რადგან განაპირობებს სომხეთისა და აზერბაიჯანის სრულ დამოკიდებულებას რუსეთზე. არასტაბილური გარემო კრემლისთვის ნოყიერი ნიადაგია რეგიონის, როგორც "ბუფერული" ზონის შესანარჩუნებლად, რათა შექმნას კიდევ უფრო პრობლემური სიტუაცია, როგორც კი ამის საჭიროებას დაინახავს. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რუსეთსაც აქვს 'აქილევსის ქუსლი'-ჩრდილოეთ კავკასია, ტერორიზმის, რელიგიური რადიკალიზმის, სეპარატიზმის და შიდა-ეთნიკური კონფლიქტების პრობლემით.

რუსეთის აგრესიული ბუნების მიუხედავად, ჰქონდეს სრული დომინაცია რეგიონში და იყოს ერთერთი წამყვანი მოთამაშე მსოფლიო არენაზე, რომლისთვისაც საერთაშორისო სამართლის პრინციპები უკანა პლანზე იწევს, როდესაც მისი დომინაციის საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ დგება, საქართველო რუსეთს მაინც არ ეპუება, თუმცა ისევ 'ნატოს მოსაცდელ ოთახშია დარჩენილი'. ყარადასაღებია ასევე

პუტინის ახალი დოქტრინაც, რომლის პრინციპებიც მიანიშნებს, რომ მთლიანად მსოფლიო წესრიგი, უსაფრთხოება და სტაბილურობა საფრთხის ქვეშაა. იმ შემთხვევაში, თუ რუსეთის ამბიციების საწინააღმდეგოდ საპასუხო ზომები არ იქნება გატარებული, მთლიანად საერთაშორისო სისტემა და გლობალური წესრიგი, რომელსაც აშშ წინ უძღვის, დიდი გამოწვევების წინაშე დგება. ეს საკითხი კი საჭიროებს სამომავლო კვლევებში გათვალისწინებას.

პუბლიკაციების სია:

1. Churchelauri, I. (2016). The significance of Southern Gas Corridor for European energy security - myth or reality? *Journal of Social Sciences*, 5(2), 17-22
2. Kavadze, A., & Churchelauri, I. (2017). Russia`s role in formation of Georgia`s foreign policy: Decision making and implementation. *Journal of Social Sciences* , 6 (1), 7-25.
3. Churchelauri, I. (2018). Russia`s foreign policy interpretation based on principles of Putin`s Doctrine. *Intellectual* (35), 62-71.